

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF
FREEDOM OF INFORMATION



„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“

ციფრულ საეთერო მაუწყებლობის ქსელის მულტიპლექსორთან დაშვების ტარიფების განსაზღვრის სახელმძღვანელო დოკუმენტი

(აპრილი, 2013 წელი)

ავტორი: გიორგი ხიშტოვანი

წინამდებარე კვლევა მომზადდა ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) მიერ პროექტის „ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის მხარდაჭერა და მონიტორინგი საქართველოში“ ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მიერ.



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლებელია არ გამოხატავდეს ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ პოზიციას.

წინამდებარე კვლევაზე ვრცელდება ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) საავტორო უფლებები. დაუშვებელია კვლევის ან კვლევის ნაწილის გამოყენება კომერციული ან სხვა მიზნებით ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) ნებართვის გარეშე.

შინაარსი

შესავალი.....	3
ბიზნეს-მოდელი ერთი vs. რამდენიმე ოპერატორის პირობებში.....	4
დანახარჯების გაანგარიშებისა და შეფასების ოფციები.....	6
შემოთავაზებული ბიზნეს-მოდელის ანალიზი სალიცენზიო ტარიფის ჭრილში.....	7
სალიცენზიო ტარიფის განსაზღვრის ალტერნატიული სახელმძღვანელო მოდელი	11
რეკომენდაციების ნაწილი	15

შესავალი

საქართველოს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესში, სამართლებრივი ურთიერთობის ძირითად მონაწილეებად მომსახურების მიწოდების მხარეს ციფრული სამაუწყებლო საეთერო ქსელის მულტიპლექს ოპერატორები და მაუწყებლები მოიაზრება. სატელეკომუნიკაციო ბაზრის საბითუმო სეგმენტების მსგავსად, ციფრული საეთერო მაუწყებლობის გარდამავალ და მის შემდგომ ეტაპებზე მთავარი პრობლემა **მულტიპლექსორის რესურსებთან დაშვების საკითხების რეგულირება წარმოადგენს**, რაც შესაძლოა განხორციელდეს დაშვების პირობების შეზღუდვით¹. კონკურენციის რეგულირების დროულმა ღონისძიებებმა, უნდა უზრუნველყოს დაშვების პირობების მაქსიმალური გამჭვირვალობა, დაშვების არადისკრიმინაციულობა და ქსელის ყველა საჭირო ელემენტთან შეუზღუდავი წვდომა.

დაშვების პირობების რეგულირება უნდა განხორციელდეს გამჭვირვალობის სპეციფიკური ვალდებულების დადგენით, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი და პრობლემური, შესაძლებელია გახდეს, მულტიპლექსორის რესურსებთან წვდომის ტარიფების დადგენის საკითხი, რადგან ხარჯებზე არა ორიენტირებულმა და არაგონივრულმა ტარიფებმა, შესაძლებელია გამოიწვიოს მცირე ბიუჯეტის ადგილობრივი და რეგიონული მაუწყებლების პროცესისაგან იზოლაცია² და შემდგომში მათი გაკოტრება / შერწყმა.

მიმდინარე პროცესის ფარგლებში, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, ციფრულ ქსელთან დაშვების მომსახურების ტარიფის განსაზღვრის სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავება. სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავების პროცესში, ჩვენ დავიხმართ მაგალითებს საერთაშორისო პრაქტიკიდან. უპირველეს ყოვლისა, მოყვანილი იქნება მაგალითები ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესში **ფინეთის, ირლანდიისა და ტანზანიის მარეგულირებელი ორგანოებისათვის შემუშავებული სარეკომენდაციო დოკუმენტებიდან**. ამავდროულად, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, სწორედ ისეთი სახელმძღვანელო დოკუმენტის ჩამოყალიბება, რომელიც გაითვალისწინებს ციფრული საეთერო მაუწყებლობის ქსელის სპეციფიკას და გამოკვეთს იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ იქნება დაკავშირებული საეთერო ციფრულ ქსელთან დაშვების მომსახურების ტარიფთან. მიზანშეწონილია, რომ ეს სახელმძღვანელო დოკუმენტი გამოყენებული იყოს ე.წ. „მულტიპლექს ოპერატორის“ (შემდგომში - „ოპერატორი“) მიერ სწორედ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის გარდამავალ და მის შემდგომ პერიოდში.

¹ Natali Helberger, „Some critical reflections about access obligations under the European Communications Framework“, Institute for Information Law (IViR), University of Amsterdam, 2005

http://www.ivir.nl/publications/helberger/communications_and_strategies.pdf

² Plum Consulting, „Practical recommendations for digital switch over Supporting information to ITU’s guidelines for the transition from analogue to digital broadcasting“, 2013

<http://www.gsma.com/spectrum/wp-content/uploads/2013/02/Digital-Switch-Over-Guide-Plum.pdf>

ბიზნეს-მოდელი ერთი vs. რამდენიმე ოპერატორის პირობებში

კვლევის ფარგლებში ჩვენი მიზანია, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას რეკომენდაციის სახით შევთავაზოთ მულტიპლექსორის რესურსებთან წვდომის ტარიფის დადგენის სახელმძღვანელო დოკუმენტი.

ამისათვის, პირველი რიგში უნდა განიმარტოს ის მიზეზები, რომელთა გამო ამ ეტაპზე მიზანშეწონილი არ არის სარეკომენდაციო სახის ერთიანი (ზღვრული) ტარიფის დადგენა.

უპირველეს ყოვლისა, არსებული მდგომარეობით სახელმწიფოს მხრიდან არ მომხდარა იმის საბოლოო განსაზღვრა, თუ რა საბაზრო პირობებში მოხდება ოპერატორის (ან ოპერატორების) ბაზარზე დაშვება. ეს გარემოება იძულებულს გვხდის, გავაკეთოთ რამდენიმე განსხვავებული დაშვება და მაშასადამე, ტარიფების განსაზღვრის განსხვავებული სახელმძღვანელო მოდელების გენერირება.

ზოგადად, აღნიშნულ ეტაპზე სახელმწიფოს მხრიდან უპირატესობა ენიჭება სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფი ერთი საწარმოს ბაზარზე დაშვების ბიზნეს-მოდელს³, რომელიც ერთპიროვნულად შესთავაზებს მაუწყებლებს ციფრული საეთერო ქსელით პროგრამის გავრცელების მომსახურებას⁴.

აქედან გამომდინარე, კვლევის ფარგლებში ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია, უპირველეს ყოვლისა, განიმარტოს, თუ რა გავლენას იქონიებს ტარიფზე ის გარემოება, რომ ბაზარზე თავდაპირველად მხოლოდ ერთი სახელმწიფო საწარმო იქნება წარმოდგენილი; სარეკომენდაციო სახის სახელმძღვანელო დოკუმენტის ფორმატი გვიწყობს ხელს, რომ ჩვენს მიერ უპირატესობა მინიჭებული ბიზნეს-მოდელი და ამ ბიზნეს-მოდელის ფარგლებში ჩვენს მიერ მოწონებული ტარიფის დადგენის მეთოდი, ალტერნატიული სცენარის სახით შევთავაზოთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას. კვლევის ფარგლებში კი, ყველა არსებული ფაქტორისა და ინტერესის გათვალისწინებით, შესაძლებელია მოხდეს ორი განსხვავებული სცენარის შედარებითი ანალიზი.

³ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პრეზენტაცია.

⁴ კომპანიის მხრიდან მოხდება ან ერთი ციფრული საეთერო მაუწყებლობის ქსელის აგება, რომელიც გამოიყენებს ორ წყვილ სიხშირეს, ან მოხდება ორი დამოუკიდებელი ქსელის აგება, რეგიონული და ეროვნული წვდომის რეჟიმებით.

ტარიფის ალტერნატიული სარეკომენდაციო მოდელის განსაზღვრის პროცესში აგრეთვე გაკეთებული იქნა რამდენიმე მნიშვნელოვანი დაშვება; ხსენებული დაშვებები დაკავშირებულია ჩვენი ორგანიზაციის ხედვასთან, კერძოდ, თუ რა სახის რისკებს ვხედავთ ოპერატორის მიერ მომსახურების მიწოდების განხორციელების პროცესში და როგორ წარმოგვიდგება ამ რისკების მინიმიზაციის გზები. უპირველესი დაშვება შეეხება ტარიფის დადგენის მოდელის შესრულებული მომსახურების მიწოდების ფარგლებში გაწეული აუცილებელი ხარჯების კომპონენტზე ორიენტირებას (cost-based approach). ასევე მნიშვნელოვანია, რომ ტარიფი ატარებდეს არადისკრიმინაციულ ხასიათს, როგორც მაუწყებლებისა და საბოლოო მომხმარებლების, ასევე ბაზარზე შემოსვლის მსურველი კერძო მოთამაშეებისათვის.⁵

⁵ http://www.ficora.fi/attachments/suomiry/1156442723276/Report_for_publication.pdf გვერდი 38-39.

დანახარჯების გაანგარიშებისა და შეფასების ოფციები

როდესაც, ტარიფის დადგენის ფარგლებში ხარჯების გაანგარიშების, ხარჯთაღრიცხვისა და შეფასების საკითხს მიმოვიხილავთ, ჩნდება ორი ძირითადი შეკითხვა, რომლებსაც პასუხი უნდა გაეცეს ტარიფის დადგენის პროცესში. ერთი მხრივ, კონკრეტულად რა დანახარჯების გათვალისწინება მოხდება ტარიფის დადგენის ფარგლებში; სხვაგვარად რომ ვთქვათ, იქნება თუ არა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მიღებული მეთოდოლოგიური წესები („ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესები“⁶, დამტკიცებული 2006 წლის N5 დადგენილებით, შემდგომში წოდებული - „მეთოდოლოგიური წესები“) განმსაზღვრელი ე.წ. „მულტიპლექს ოპერატორის“ მიერ ტარიფის დადგენის პროცესში (თუნდაც მხოლოდ გარდამავალი პერიოდისათვის ან ე.წ. „MUX3“ ამოქმედების შემდეგ); მეორე მხრივ, რამდენად იქნება შემოთავაზებული ბიზნეს-მოდელი არსებულ წესებზე მორგებული.

ცალკე განხილვის საგანია, ტექნიკურად რამდენად აღჭურვილი იქნება ოპერატორი. ამ ფაქტორის გათვალისწინების გარეშე კი შეუძლებელი იქნება ზუსტი ტარიფის დადგენა, რადგან, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ქსელის ტექნიკური აღჭურვილობის მოთხოვნებს დეტალურად გაწერამდე (ე.წ. „engineering requirements“), ოპერატორს მრავალი ათეული სხვადასხვა ტარიფის გამოთვლის შესაძლებლობა უჩნდება.⁷

⁶ http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7060&info_id=3958

⁷ <http://rtenl.ie/wp-content/uploads/2011/12/080220.pdf> გვერდი 1.

შემოთავაზებული ბიზნეს-მოდელის ანალიზი სალიცენზიო ტარიფის ქრილში

კვლევის ამ ნაწილში გვინდა სახელმწიფოს მხრიდან მოწონებული ბიზნეს-მოდელის⁸ და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი ტარიფის განსაზღვრის მეთოდოლოგიური წესების⁹ თავსებადობა განვიხილოთ.

როგორც უკვე აღინიშნა, სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებული ბიზნეს-მოდელი გულისხმობს ერთი სახელმწიფო საწარმოს მხრიდან მაუწყებლებისთვის ციფრული საეთერო ქსელით პროგრამის გავრცელების მომსახურების მიწოდებას. მაშასადამე, უპირატესობა მინიჭებული ბიზნეს-მოდელის ფარგლებში, ჩვენ ვიღებთ არაკონკურენტულ ბაზარზე მოქმედ მონოპოლისტ სახელმწიფო კომპანიას.

როგორც ავტორიზებული პირი, ეს კომპანია ავტომატურად ვალდებული იქნება, მის მიერ დადგენილი მომსახურების ტარიფის გამომანგარიშების ფარგლებში გზამკვლევად კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი ტარიფის განსაზღვრის მეთოდოლოგიური წესები გამოიყენოს.

იმის გათვალისწინებით, რომ არსებული სტრატეგიის მიხედვით, სახელმწიფოს მიერ შექმნილი საწარმოს ძირითადი საქმიანობის სახეობა, ციფრული საეთერო ქსელით პროგრამის გავრცელების მომსახურების ლიცენზიის გაყიდვა იქნება, ადვილი წარმოსადგენია, რომ ის დანახარჯები, რომლებიც შემდგომ მსგავსი ავტორიზებული პირის მიერ განხორციელებული საქმიანობის ლიცენზიების ტარიფის გაანგარიშების პროცესში იქნება გათვალისწინებული, მისი მხრიდან მთლიან ინფრასტრუქტურულ დანახარჯებს მოიცავს, რომელიც გაწეული იქნება ახალი მულტიპლექს-მოწყობილობის, ქსელისა და გადამცემების შექმნა/დამონტაჟების პროცესში. იმის გათვალისწინებით, რომ ტარიფის დადგენისას ჩვენ მხოლოდ ე.წ. „bottom up cost modeling“-ის მოდელი გვესახება ოპტიმალურად¹⁰, როგორც მინიმუმ, ტარიფის განსაზღვრის პროცესში, მხოლოდ რეალურად დატვირთული სიმძლავრეების ფუნქციონირებისათვის გაწეული დანახარჯების გათვალისწინების უზრუნველყოფა უნდა მოხდეს.

გარდა ამ ზემოთხსენებული ობიექტური გარემოებისა, რომ სახელმწიფო კომპანიას, განსხვავებით მაგ. ვერტიკალურად ინტეგრირებული ოპერატორისაგან,

⁸ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პრეზენტაცია.

⁹ http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7060&info_id=3958

¹⁰ http://www.tcra.go.tz/consultative_docs/pcd_mux_cbf_2012.pdf გვერდი 12.

მომსახურების ტარიფის განსაზღვრის დროს მის მიერ გაწეული მთლიანი ინფრასტრუქტურული დანახარჯების გათვალისწინება მოუწევს, მნიშვნელოვან პრობლემას ამ კომპანიისათვის ე.წ. კაპიტალის ღირებულების დადგენის წესების გამოყენების დროსაც ვაწყდებით.¹¹ განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ კაპიტალის ღირებულების მცირეოდენი ცვლილებაც კი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს საბოლოო ტარიფის მოცულობაზე.

გვსურს, მოკლედ განვიხილოთ გაანგარიშების მეთოდი. მოქმედი მეთოდოლოგიური წესების მიხედვით, კაპიტალის ღირებულების საშუალო შეწონილი წლიური განაკვეთის გაანგარიშება შემდეგი ფორმულის საშუალებით ხორციელდება:

$$WACC = r_{EQ} \cdot \frac{EQ}{EQ + D} + r \cdot (1 - t) \cdot \frac{D}{EQ + D}$$

სადაც:

- ”WACC” - კაპიტალის ღირებულების საშუალო შეწონილი წლიური განაკვეთი;
- ” r_{EQ} ” - საკუთარი კაპიტალის მომგებიანობის წლიური განაკვეთი;
- ” r ” - სასესხო კაპიტალის საშუალო შეწონილი წლიური განაკვეთი;
- ”EQ” - საკუთარი კაპიტალის ოდენობა;
- ”D” - სასესხო კაპიტალის ოდენობა;
- ” t ” - მოგების გადასახადის განაკვეთი.

საკუთარი კაპიტალის მომგებიანობის წლიური განაკვეთი გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულის შესაბამისად:

$$r_{EQ} = i_{rf} + (r_M - i_{rf}) \cdot \beta$$

სადაც:

- ” r_{EQ} ” - საკუთარი კაპიტალის მომგებიანობის წლიური განაკვეთი;
- ” i_{rf} ” - ფინანსურ ბაზარზე მომგებიანობის ურისკო განაკვეთი;
- ” r_M ” - „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედი ავტორიზებული პირების საკუთარი კაპიტალის მომგებიანობის წლიური განაკვეთის გასაშუალოებული ოდენობა, რომელიც გამოიანგარიშება კომისიის მიერ საქმიანობის განმახორციელებელი ავტორიზებული პირების მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე“¹²;
- ” β ” - ე.წ. ”ბეტა” კოეფიციენტი;

¹⁰ მეთოდოლოგიური წესები, მუხლი 21.

¹² მეთოდოლოგიური წესები, მუხლი 21.

ქვემოთ გვსურს, წარმოგიდგინოთ, ჩვენს მიერ დანახული პრობლემების მოკლე ჩამონათვალი:

1. პირველი რიგში, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სახელმწიფო კომპანიის შემთხვევაში, ინვესტირებული სახსრები ძირითადად სახელმწიფოს მხრიდან გამოყოფილი საკუთარი კაპიტალით იქნება წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში, ერთი მხრივ, კიდევ უფრო გაიზრდება საკუთარი კაპიტალის მომგებიანობის წლიური განაკვეთის მნიშვნელობა კაპიტალის ღირებულების დადგენის პროცესში, ხოლო მეორე მხრივ, ეს გარემოება სავარაუდოდ ტარიფის ზრდას გამოიწვევს, რადგან, როგორც წესი, საკუთარი კაპიტალის ღირებულება ყოველთვის მნიშვნელოვნად აღემატება სასესხო კაპიტალის ღირებულებას, განსაკუთრებით განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში.¹³
2. საკუთარი კაპიტალის მომგებიანობის წლიური განაკვეთის (r_{EQ}) დადგენის პროცესში, ჩვენ შემდეგ პრობლემებს ვაწყდებით:
 - კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ფინანსურ ბაზარზე მომგებიანობის ურისკო განაკვეთად (i_{rf}) შემოთავაზებულია ექვსთვიანი „ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატების პირველადი განთავსების ბოლო ექვსი თვის განმავლობაში ჩატარებულ აუქციონებზე დაფიქსირებული საშუალო შეწონილი წლიური განაკვეთის გასაშუალოებული“¹⁴ ოდენობა. ვთვლით, რომ მომგებიანობის ურისკო განაკვეთად ბევრად უფრო ადეკვატური იქნება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 5 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთის აღება.¹⁵ ეს **ceteris paribus** ტარიფის შემცირებას შეუწყობდა ხელს და რაც უფრო მნიშვნელოვანია, ვადიანობის ხუთწლიანი პერიოდი უფრო ადეკვატურად მოახდენს ფორმულაში კაპიტალის ღირებულებასთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინებას.
 - რისკ-პრემიის ($r_M - i_{rf}$) განსაზღვრის მიზნით, აუცილებელია სექტორის მომგებიანობის წლიური განაკვეთის („ r_M “) დადგენა. იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ ბაზარზე ახალი ტიპის მონოპოლისტურ ბიზნეს-აქტივობასთან გვექნება შეხება, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ის საკითხი, თუ რამდენად მიზანშეწონილი იქნება არსებული ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომგებიანობის კოეფიციენტის ბენჩმარკად აღება (ასე მაგალითად,

¹³ http://www.tcra.go.tz/consultative_docs/pcd_mux_cbf_2012.pdf გვერდი 16.

¹⁴ მეთოდოლოგიური წესები, მუხლი 21 III.

¹⁵ <http://www.treasury.gov.ge/news/?91> ; <http://www.nbg.gov.ge/index.php?m=611>

ავტორიზებულ პირებს („სილქნეტი“, „კავკასუს ონლაინ“) გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების დანახარჯების კალკულაციის ფარგლებში დარგის მომგებიანობის განაკვეთად 11,7% აქვთ მითითებული¹⁶), ისე, როგორც ეს გათვალისწინებულია მეთოდოლოგიური წესების 21-ე მუხლში¹⁷. განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ თვითონ კომუნიკაციების ეროვნული კომისია ექვსის თვალთ უყურებს არსებული ავტორიზებული პირების მიერ სხვადასხვა ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიებს.¹⁸

- ის გარემოება, რომ ამ ტიპის ბიზნეს-საქმიანობის (ციფრული საეთერო ქსელით პროგრამის გავრცელების მომსახურება) მომგებიანობის კოეფიციენტი არ არსებობს, როგორც მინიმუმ პირველ ეტაპზე შეუძლებელი ხდება ე.წ. „ბეტა“-კოეფიციენტის („β“) შემოთავაზებული მოდელით გაანგარიშება.

პრობლემების ეს მოკლე ჩამონათვალიც კი ნათელს ხდის, რომ სახელმწიფოს მიერ უპირატესობა მინიჭებული ბიზნეს-მოდელისა და კაპიტალის ღირებულების დადგენის არსებული მეთოდის კომბინირების შედეგად, თეორიულად, საკუთარი კაპიტალის რეალისტურ ღირებულებაზე უფრო მაღალ მაჩვენებელს მივიღებთ, რაც თავის მხრივ, დაგვირგვინდება ციფრული საეთერო ქსელით პროგრამის გავრცელების მომსახურების მაღალი ტარიფის არსებობით; და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ბიზნეს-მოდელის და მეთოდოლოგიური წესების ერთობლიობა დიდი ალბათობით, გაანგარიშების არაზუსტ და არასაიმედო მოდელამდე მიგვიყვანს.

¹⁶ პრეზენტაცია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების დანახარჯების გაანგარიშებასთან დაკავშირებით.

¹⁷ http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7060&info_id=3958

¹⁸ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 14 დეკემბერისა და 2013 წლის 22 იანვარის ზეპირი მოსმენის სხდომები.

სალიცენზიო ტარიფის განსაზღვრის ალტერნატიული სახელმძღვანელო მოდელი

წინა თავში ხსენებული გარემოებები არის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ჩვენ, ჩვენი ხედვის ფარგლებში, **კონკურენტულ ბიზნეს-მოდელს მივანიჭეთ უპირატესობა**. ასეთ შემთხვევაში, ციფრული საეთერო მაუწყებლობის ქსელის მულტიპლექსორთან დაშვების ბაზარზე რამდენიმე მოთამაშე იქნება წარმოდგენილი, ხოლო კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მხრიდან დეტალურად მოხდება ტარიფის დადგენისათვის აუცილებელი კომპონენტის გაანგარიშების შესაბამისი კრიტერიუმების განსაზღვრა.

ვიდრე კონკრეტულად სცენარის აღწერაზე გადავიდოდეთ, აუცილებლად მიგვაჩნია, რამდენიმე ოპერატორის საქმიანობის შემთხვევაში არსებული პრობლემების ჩამოთვლა. ასე, მაგალითად, რამდენიმე ოპერატორის ბაზარზე დაშვების შემთხვევაში, უნებლიედ შეიძლება დავდგეთ ფაქტის წინაშე, რომ მათი ნაწილი სახელმწიფო, ხოლო ნაწილი კერძო სამართლის სუბიექტი შეიძლება იყოს; აგრეთვე, გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთი მიმწოდებელი შემოფარგლული იქნება მხოლოდ ე.წ. „მულტიპლექს ოპერატორის“ საქმიანობით, ხოლო ზოგიერთი - უფრო ფართო მომსახურებების მიწოდების სპექტრით. ამ შემთხვევაში, უკვე ტარიფის განსაზღვრის პროცესში, აუცილებლად უნდა მოხდეს განმარტება, თუ რამდენად იქნება შესაძლებელი, ბაზარზე წარმოდგენილი დივერსიფიცირებული პორტფელის მქონე მიმწოდებელი DTTV-ს (Digital terrestrial television) და მასთან დაკავშირებული დანახარჯებისა და შემოსავლების, დანარჩენი სერვისებისგან მიღებული დანახარჯებისა და შემოსავლებისაგან განცალკევება.

მულტიპლექსორის რესურსებთან წვდომის ტარიფის დადგენისას, აუცილებლად მიგვაჩნია სხვადასხვა ქვეყნის მიერ გამოყენებული მოდელების მაგალითის გათვალისწინება. ეს საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი შესაძლებლობას მოგვცემს, განვსაზღვროთ ჩარჩო, რომელშიც მოექცევა საქართველოს ტერიტორიაზე ნებისმიერი „მულტიპლექს ოპერატორის“ მიერ დადგენილი ტარიფი. ამასთანავე, ეს საერთაშორისო გამოცდილება დაგვეხმარება ტარიფის მოდელში არსებული ერთი მხრივ, ეკონომიკური და მეორე მხრივ, პოლიტიკური კომპონენტების მორგებაში საქართველოს ტიპის განვითარებადი ქვეყნებისათვის.

*პირველ რიგში, გვსურს ტარიფის დადგენის ზოგადი მოდელის წარმოდგენა. ჩვენი მოდელის მიხედვით, პირველ ეტაპზე უნდა მოხდეს იმ ძირითადი საშუალებების განსაზღვრა, რომლებიც ციფრული საეთერო ქსელით პროგრამის გავრცელების მომსახურებასთან არიან კავშირში (**capital base**). შემდეგ, უნდა მოხდეს*

დანახარჯების კლასიფიცირების სარეკომენდაციო მეთოდის განსაზღვრა (*cost methodology*), რაც დაგვებმარება რეალურად DTTV-ს დაკავშირებული დანახარჯების, საწარმოს დანარჩენი სერვისებისგან მიღებული დანახარჯებისაგან განცალკევებაში. ამის შემდეგ, მოხდება ე.წ. კაპიტალის ღირებულების საშუალო შეწონილი წლიური განაკვეთის და ანუიტეტის პრინციპის განსაზღვრა, რათა მოხდეს ცვეთის ხარჯისა და ინვესტიციიდან უკუგების გაანგარიშება. საბოლოოდ, მიღებულ თანხას დაემატება ე.წ. საოპერაციო (*multiplex-specific operational costs*) და საწარმოო ზედნადები ხარჯების (*overheads*) წინასწარ განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებელი. მიღებული თანხა საქართველოს მაგალითზე განაწილდება ერთი მულტიპლექსის შემთხვევაში 15 ციფრულ მაუწყებელზე და დადგინდება საბოლოო ტარიფი.

როგორც უკვე ზემოთ ვახსენეთ, ტარიფის დადგენისთვის ჩვენ ოპტიმალურად გადაუდებელი ხარჯების მოდელირების ე.წ. „bottom up cost modeling“-ის მოდელი გვესახება.¹⁹ ხარჯების მოდელირების ამ მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, ბაზარზე დაშვების მსურველი კომპანიების მხრიდან უნდა მოხდეს ე.წ. „მულტიპლექს ოპერატორისათვის“ საქმიანობისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის, ქსელის დიზაინის და მისი გაშვების გეგმის წინასწარი გაანგარიშება.

რაც შეეხება დანახარჯების კლასიფიცირების სარეკომენდაციო მეთოდს, ჩვენი მხრიდან უპირატესობა მიენიჭება ე.წ. „LRIC+“-ის მეთოდს (**Forward looking Long Run Incremental Costs (LRIC) + საწარმოო ზედნადები ხარჯების წინასწარ დადგენილი პროცენტი (percentage of common costs)**). ჩვენი წარმოდგენით, ეს მოდელი საუკეთესოდ მიესადაგება კომუნიკაციების სექტორში კონკურენტულ ბაზარზე ოპერატორის მხრიდან მომსახურებაზე გაწეული პირდაპირი და საოპერაციო დანახარჯების, აგრეთვე, ნაწილობრივ საწარმოო ზედნადები დანახარჯების ტარიფის დადგენის პროცესში გათვალისწინებას და ტარიფის განსაზღვრის პროცესში მხოლოდ რეალურად DTTV-სა და მასთან დაკავშირებული დანახარჯებისა და შემოსავლების დანარჩენი სერვისებისგან მიღებული დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებას.

რა თქმა უნდა, ყველაზე დიდ პრობლემას ტარიფის დადგენის პროცესში ე.წ. WACC-განაკვეთის (კაპიტალის ღირებულების საშუალო შეწონილი წლიური განაკვეთი) გაანგარიშების მეთოდის დადგენა წარმოადგენს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ჩვენ WACC-განაკვეთის კომპონენტების შერჩევასა უპირატესობას საერთაშორისო ბენჩმარკს ვანიჭებთ.

¹⁹ http://www.tcra.go.tz/consultative_docs/pcd_mux_cbf_2012.pdf გვერდი 12.

უპირველეს ყოვლისა საკუთარი კაპიტალის მომგებიანობის წლიური განაკვეთის (r_{EQ}) გაანგარიშების მეთოდს უნდა მივაქციოთ ყურადღება:

ჩვენს შემთხვევაშიც ეს ე.წ. CAPM-ის²⁰ საფუძველზე შემუშავებული მოდელი²¹ იქნება:

$$r_{EQ} = i_{rf} + \beta * (\text{mature equity risk premium}^{22} + \text{country risk premium}^{23})$$

განსხვავება კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ დადგენილ მოდელთან აგრეთვე გამოიხატება მოდელის ცალკეული კომპონენტების გამოთვლის წესში. ასე მაგალითად, მომგებიანობის ოპტიმალურ ურისკო განაკვეთად (i_{rf}) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 5 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციების უახლესი განაკვეთის აღება მიგვაჩნია.²⁴

ე.წ. „ბეტა“-კოეფიციენტის ("β") გაანგარიშება შესაძლებელია მოხდეს Competition Economic Group (CEG) - ის მიერ კომუნიკაციების სექტორისათვის დადგენილი კოეფიციენტის შესაბამისად, რომელიც 1,2-ს უტოლდება.²⁵

კაპიტალის ღირებულების საშუალო შეწონილი წლიური განაკვეთის გაანგარიშება ე.წ. WACC-ფორმულის საშუალებით მოხდება.

$$WACC = r_{EQ} \cdot \frac{EQ}{EQ + D} + r \cdot (1 - t) \cdot \frac{D}{EQ + D}$$

WACC-ს გამოანგარიშების შემთხვევაში, განსახილველი დარჩება შემდეგი პრობლემური საკითხები:

²⁰ Sharpe, William F. (1964). Capital asset prices: A theory of market equilibrium under conditions of risk, Journal of Finance, 19 (3), 425-442.

²¹ http://www1.worldbank.org/finance/assets/images/Equity_Risk_Premiums.pdf გვერდი, 18

²² ამერიკის შეერთებული შტატების მომგებიანობის გრძელვადიანი ურისკო განაკვეთი, რომელიც 2013 წლის იანვრის მონაცემებით 5,8% შეადგენს.

http://pages.stern.nyu.edu/~adamodar/New_Home_Page/datafile/ctryprem.html

²³ 2013 წლის იანვრის მდგომარეობით საქართველოსათვის ე.წ. „country risk premium“-ი 4,88% შეადგენს (http://pages.stern.nyu.edu/~adamodar/New_Home_Page/datafile/ctryprem.html)

²⁴ <http://www.treasury.gov.ge/news/?91> ; <http://www.nbg.gov.ge/index.php?m=611>

²⁵ http://www.tcra.go.tz/consultative_docs/pcd_mux_cbf_2012.pdf გვერდი 16.

- როგორც ცნობილია, WACC-ს გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია საწარმოს კაპიტალით უზრუნველყოფის ოპტიმალური სტრუქტურის წინასწარი განსაზღვრა. ამ შემთხვევაში ჩვენ საერთაშორისო პრაქტიკას²⁶ დავეყრდნობით და საქართველოს ტიპის განვითარებადი ქვეყნებისათვის შემდეგ სტრუქტურას დავუჭერთ მხარს; **საკუთარი კაპიტალი - 60%, სასესხო კაპიტალი - 40%**.
- აგრეთვე, არსებობს პრობლემა დაკავშირებული სასესხო კაპიტალის საშუალო შეწონილ წლიურ განაკვეთთან (r); იმ დროს, როდესაც მაგ. “სილქნეტს” გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების დანახარჯების კალკულაციის ფარგლებში სასესხო კაპიტალის საშუალო შეწონილი წლიური განაკვეთი **13%**, ხოლო “კავკასუს ონლაინს” – **15,25%**²⁷ აქვს, მსოფლიო ბანკი საქართველოში 2011 წელს ე.წ. „lending interest rate“-ის მაჩვენებლად **25,9%** ასახელებს.²⁸ კიდევ უფრო დიდ გაკვირვებას იწვევს ის პარადოქსული გარემოება, რომ ზემოთხსენებულ პრეზენტაციაში საწარმოების საკუთარი კაპიტალის მომგებიანობის წლიური განაკვეთი უფრო ნაკლებია, ვიდრე სასესხო კაპიტალის საშუალო შეწონილი წლიური განაკვეთი (აღნიშნულთან დაკავშირებით, ჩვენი რეკომენდაცია იქნება, შემუშავდეს მეთოდოლოგია და შემდეგ ეტაპზე ჩატარდეს კვლევა, რომელიც ისტორიული მონაცემების გამოყენებით, დაადგენს საქართველოში ე.წ. „corporate lending rate“-ს სანდო მაჩვენებელს).

მას შემდეგ, რაც მოხდება WACC-ს (i) განსაზღვრა, უნდა მოხდეს აქტივების ყოველწლიური ანუიტეტის გამოანგარიშება; შედეგად, ერთბაშად მოხდება საწარმოს ცვეთის ხარჯისა და ინვესტიციებიდან უკუგების გამოთვლა. ამ შემთხვევაში, ჩვენ უპირატესობას ე.წ. „**simple annuity approach**” - ს (მარტივი ანუიტეტის პრინციპი) ვანიჭებთ. ამ პრინციპის მიხედვით, აქტივების შესყიდვის ღირებულება უცვლელი რჩება მათი მთლიანი სასარგებლო მომსახურების პერიოდის განმავლობაში.²⁹ მარტივი ანუიტეტის პრინციპის გამოყენება შემდეგი ფორმულის მიხედვით ხდება:

$$simple\ annuity = აქტივების\ ღირებულება \cdot \frac{i(1+i)^n}{(1+i)^n - 1}$$

შემდეგ ეტაპზე უკვე მოხდება საოპერაციო ხარჯების განსაზღვრა. ამისათვის მისაღებია მეთოდოლოგიური წესების მე-20 მუხლში განსაზღვრული წესის საოპერაციო დანახარჯების განმსაზღვრელი პრინციპის გამოყენება. მას შემდეგ,

²⁶ http://www.tcra.go.tz/consultative_docs/pcd_mux_cbf_2012.pdf გვერდი 16.

²⁷ პრეზენტაცია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების დანახარჯების გაანგარიშებასთან დაკავშირებით.

²⁸ <http://data.worldbank.org/indicator/FR.INR.LEND>

²⁹ http://www.ficora.fi/attachments/suomiry/1156442723276/Report_for_publication.pdf გვერდი 28.

რაც ცვეთის ხარჯისა და ინვესტიციიდან უკუგების გაანგარიშების შედეგად მიღებულ ყოველწლიურ ანუიტეტს ე.წ. საოპერაციო დანახარჯები დაემატება და მიღებული თანხა განაწილდება ერთი მულტიპლექსის შემთხვევაში 15 ციფრულ მაუწყებელზე, მიღებულ თანხას საწარმოო ზედნადები დანახარჯების (overheads) წინასწარ განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებელი დაემატება (ჩვენ შემთხვევაში, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, დადგენილ ტარიფს დამატებით უნდა დავუმატოთ მისი 10%³⁰), რის შემდეგაც უკვე შესაძლებელი გახდება საბოლოო ტარიფის დადგენა.

რეკომენდაციების ნაწილი

- აუცილებელია მუდმივი მონიტორინგის ჩატარება ბაზრის მოთამაშეების მხრიდან ხარჯების კლასიფიცირების და კაპიტალის ღირებულების დადგენის წესის მართებულად გამოყენების კუთხით. ე.წ. ქსელის გარე მონიტორინგის მექანიზმი (განსაკუთრებით, ერთი მიმწოდებლის პირობებში) უნდა გახდეს მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ოპერატორის ეფიციენტურობის დადგენისა და საჭიროებისამებრ, კომუნიკაციების ეროვნულ კომისიის მხრიდან შესაბამისი სანქციის დაწესების პროცესში.³¹
- იმ შემთხვევაში, თუ ბაზარზე ადგილი ექნება ოლიგოპოლური გარიგების ნიშნებს, კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას უკიდურეს ზომად შეუძლია ე.წ. „**price cap**“-ის დადგენა, როდესაც ის თავად, არსებული სახელმძღვანელოს მიხედვით დაუდგენს ოპერატორების ზღვრულ ტარიფს.³²

³⁰ http://www.tcra.go.tz/consultative_docs/pcd_mux_cbf_2012.pdf გვერდი 19.

³¹ http://www.ficora.fi/attachments/suomiry/1156442723276/Report_for_publication.pdf გვერდი 41;

<http://www.comreg.ie/fileupload/publications/ComReg0790.pdf> გვერდი 3;

<http://www.comreg.ie/fileupload/publications/ComReg0765.pdf> გვერდი 12.

³² http://www.tcra.go.tz/consultative_docs/pcd_mux_cbf_2012.pdf